community

The New Apostolic Church around the world

03/2022/GE

თანაზიარება ქრისტესთან და ქრისტეში

რედაქციისგან
რჩეულნი მსახურებისთვის

ღვთისმსახურება
თანაზიარება ქრისტესთან
და ქრისტეში

საეკლესიო მოძღვრება
ევთანაზიასა და პალიატურ
მედიცინას შორის

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 რჩეულნი მსახურებისთვის

ღვთისმსახურება

4 თანაზიარება ქრისტესთან და ქრისტეში

საბავშვო კუთხე

10 კაენი არ უსმენს ღმერთს

12 სტუმრად ობრისთან პალატინში (აშშ)

დოქტრინა

14 ევთანაზიასა და პალიატიურ მედიცინას შორის

Global News

18 „ჩვენ ჩვენი ტემპით მივდივართ“

Titelfoto: შრი-ლანკის ახსე
Rückseitefoto: კენიის ახსე

რჩეულნი მსახურებისთვის

ფოტო: საერთაშორისო ახსე

ძვირფასო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ბევრს ვფიქრობ თემაზე „რჩეულება“. ჯერ ისევ გვჩვევია იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი რჩეულების მიზანი ბოლო ჟამის პერიოდში ჩვენი გადარჩენაა. ღმერთმა ამოგვირჩია და ჩვენ გადავრჩებით, ყველა სხვა დანარჩენი კი არა.

მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე. ამასთან დაკავშირებით ერთი უბრალო მაგალითი: ყველა ვიცნობთ ისეთ ერთმორწმუნე და-ძმებს ან სულაც ისეთი ოჯახის წევრები გვყავს, რომლებმაც ინტერესი დაკარგეს ღვთის მიმართ, აღარ დადიან ღვთისმსახურებებზე, აღარა აქვთ კავშირი ღმერთთან. ნუთუ ვამბობთ მათზე, რომ ისინი რჩეულები არ არიან, რომ დასაღუპად არიან განწირულნი? ვისაც მოყვასის სიყვარულის თუნდაც ერთი ნაპერწკალი უღვივის, ის ასე ვერ იფიქრებს. შეუძლებელია, რომ „რჩეულება“ ასე გვესმოდეს.

და მაშინ რა არის „რჩეულება“? რჩეულება მსახურებისკენ მოწოდებას ნიშნავს. შენ აგირჩიეს, რამეთუ ემსახურო უფალს და შენი წვლილი შეიტანო ყველა ადამიანისათვის ხსნის უწყებაში. ეს არის რჩეულება. ალბათ ეს არც თუ ისე კომფორტულად ჟღერს, მაგრამ მისი მოყვასის სიყვარულთან გაიგივება შეიძლება.

იმიტომ არ აგირჩიეს, რომ მარტო შენ გადარჩე, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი დაიღუპოს; შენ უფლისა და ადამიანების მსახურებისკენ ხარ მოწოდებული. ეს არის რჩეულება: რჩეულება მსახურებისთვის!

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

თანაზიარება ქრისტესთან და ქრისტეში

მართალია, ღვთისმსახურებას კალგარიში (კანადა) ადგილზე დაახ. 230 ერთმორწმუნე და-ძმა დაესწრო, მაგრამ 13 500-ზე მეტი ინტერნეტის მეშვეობით იღებდა მონაწილეობას.

ფოტო: კანადის ახსე

1. იოან. 1, 3

იმაზე, რაც გვინახავს და მოგვისმენია, გაუწყებთ, რათა თქვენც გქონდეთ თანაზიარება ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან.

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ვფიქრობ, ბევრი ჩვენთაგანი მადლიერია მამაზეციერისა იმის გამო, რომ ამ ღვთისმსახურებას აქ, კალგარში, ერთად ვზეიმობთ და მის მადლს განვიცდით; და, რომ ბევრი და-ძმაა დაკავშირებული ჩვენთან ჩრდ. ამერიკიდან. მადლობლები ვართ მისი, რამეთუ შეისმინა ჩვენი ლოცვები და შეკრება შევძელით, რათა მივიღოთ ღვთის გზავნილი, რომელიც სულიწმიდის მიერ გადმოგვეცემა.

პირველი გზავნილი სულიწმიდისა ასეთია: ღმერთი არავის ივიწყებს! ამ გზავნილით, უპ. ყოვლისა, იმათ მინდა მივმართო, ვინც გასაჭირში იმყოფება და შევიწროვებას განიცდის. ასეთი ბევრია. სწორედ ახლა ყველაფერი კოვიდის გარშემო ტრიალებს. მაგრამ ამავდროულად ცხოვრება გრძელდება. ბევრ და-ძმას ავადმყოფობით უწევს ცხოვრება, სხვები გლოვობენ, კიდევ სხვებს სამსახურში, ოჯახში, პარტნიორულ ურთიერთობებში პრობლემებთან გამკლავება უწევთ, ან ფინასური პრობლემები აქვთ. ამ დროს შეიძლება გაგვიჩნდეს აზრი, რომ დაგვივიწყეს, რადგან ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ კოვიდია. ღმერთი არავის ივიწყებს. მან იცის, რას ფიქრობ; მან იცის შენი პრობლემა; ის იზიარებს შენს ტკივილს. მიენდე მას! ის დაგეხმარება.

ამ გზავნილით იმათაც მინდა მივმართო, ვინც ცხოვრების ნათელ მხარეზე იმყოფება; რომლებიც ბევრ სიამოვნებას იღებენ, უბრალოდ ბედნიერები არიან, რომლებიც ღვთიურ კურთხევასა და სუფევას განიცდიან. შეიძლება სინდისი აწუხებთ მათ იმის გამო, რომ ასე კარგად არიან. არ არის საჭირო! იესო იზიარებს თქვენს სიხარულს. გაიხარეთ ღვთის მიერ ბოძებული კურთხევით და სათანადოდ გადაუხადეთ მას მადლობა! ჩვენი ზეციერი მამა არავის ივიწყებს.

ამ მძიმე, განსაკუთრებულ დროშიც არაფერი შეცვლილა ჩვენთვის ჩვენს პრიორიტეტებში, ცხოვრების ცენტრში. ჩვენი სურვილია, ქრისტეს მეორედ მოსვლას მომზადებულნი შევხვდეთ. სწორედ ამ მიზეზით ვიმყოფებით დღეს აქ. ამიტომ გვწამს ქრისტესი. ჩვენი სურვილი ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაა. ჩვენ გვსურს თანაზიარება ღმერთთან, მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან. გვინდა, რომ საუკუნოდ ქრისტესთან ერთად ვიყოთ მის სასუფეველში. ეს არის ქრისტიანული რწმენის აზრი. ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ამქვეყნად ვიყოთ ბედნიერები, წარმატებულები, არ გვქონდეს პრობლემები, ვიყოთ მდიდრები და კიდევ სხვა რამ. ქრისტიანის უდიდესი სურვილი ქრისტესთან საუკუნო თანაზიარების ქონაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქრისტეს სიკვდილი ამაო იქნებოდა. ჩვენი სურვილი ღმერთთან თანაზიარებაა მის სასუფეველში. გვინდა გვქონდეს თანაზიარება ღმერთთან, მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან. ამიტომაც გვაქვს ეს დევიზი: „ერთად ქრისტეში“. ეს არის შემდეგი ნაბიჯი ხსნის გეგმაში.

ჩვენი ზეციერი მამა არავის ივიწყებს.

იოანეს პირველი ეპისტოლეს ავტორი აქ ამბობს, რომ ღმერთთან თანაზიარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოციქულებთან თანაზიარება არსებობს. ამას ერთი მიზეზი აქვს: იმჟამად თავდაპირველ ეკლესიაში, რამოდენიმე ათეული საუკუნის შემდეგ, იესო ქრისტეს პიროვნებსა და ბუნებაზე სხვადასხვა შეხედულებები არსებობდა. ზოგს ერთი წარმოდგენა ჰქონდა, ზოგს კიდევ სხვა. მიხვდნენ, რომ ასე არ შეიძლებოდა. ამიტომაც ეპისტოლეს ავტორი აქ ამბობს, რომ, ვისაც იესო ქრისტესთან თანაზიარება უნდა, მოციქულებთან უნდა ჰქონდეს თანაზიარება; მას მოციქულთა მოძღვრებისა უნდა სწამდეს; იმათი მოწმობისა უნდა სწამდეს, ვინც იხილა და მოუსმინა იესო ქრისტეს, როცა ის დედამიწაზე იმყოფებოდა. მაშასადამე, აქ ლაპარაკი ახალსამოციქულო მოციქულთა მოძღვრებაზე კი არ არის, არამედ მოციქულთა მოძღვრებაზე ბიბლიის აზრისამებრ. ლაპარაკია იმათ მოწმობაზე, ვინც თავად იხილა და მოუსმინა იესო ქრისტეს, როცა ის დედამიწაზე იყო, და რომლებსაც დაევალათ, ესწავლებინათ სხვებისთვის ის, რაც იესომ მათ ასწავლა. შეუძლებელია ქრისტესთან თანაზიარება, თუ არ სწამს კაცს მოციქულთა მოძღვრების, მოწმობის, ისე, როგორც ის ახალ აღთქმაშია დაფიქსირებული.

იესო ქრისტე აფრთხილებდა მოწაფეებს იმის შესახებ, რომ ბევრი იქნებოდა ისეთი, ვინც იტყოდა: „აჰა, აქ არის ქრისტე, ან კიდევ - იქო!“ (მარკ. 13, 21). ის იმათზე უყვებოდა მათ, ვინც იტყოდა, რომ ქრისტეს მიერ იყვნენ მოვლენილნი; ისინი იესოს მიერ ნაწინასწარმეტყველბ სასწაულებს მოახდენდნენ, დემონებს განდევნიდნენ - და ძალიან წარმატებულები იქნებოდნენ. იესო სიფრთხილისკენ მოუწოდებდა და ამბობდა, რომ სინამდვილეში ყველა მათგანი არ იქნებოდა მის მიერ მოვლენილი (შევ. მარკ. 13, 21-23; მათ. 7, 22. 23).

ახალსამოციქულო ეკლესიის ამოცანა არ მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ეკლესიები კატეგორიებად დაყოს და თქვას, თუ რომელი მათგანია კარგი და რომელი ცუდი. ეს არ არის ჩვენი საქმე. მოციქულთა ამოცანას დღეს იესო ქრისტეს მოძღვრების უწყება წარმოადგენს იმ ფორმით, როგორც ის მოციქულთა მიერ არის გადმოცემული წმიდა წერილში. ყველას შეუძლია აკეთოს და იქადაგოს ის, რაც სურს, მაგრამ ჩვენი ამოცანა ღვთის სასუფეველში შესვლისათვის მომზადება და იესო ქრისტესთან თანაზიარების ქონაა. ამისათვის კი მოციქულთა მოძღვრებისა უნდა გვწამდეს, იმათი მოწმობისა, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ ამქვეყნად. რა თქვეს? რას ჰყვებოდნენ? რას ამბობდა იესო ქრისტე საკუთარ თავზე? ნება მიბოძეთ, ხუთი პუნქტი ჩამოვთვალო:

პირველი პუნქტი: იესო ამბობდა, რომ მთელი წერილი - ჩვენთვის ეს დღეს ძველი აღთქმაა - მასზე ლაპარაკობს (შევ. იოან. 5, 39; ლუკ. 24, 44). იესოს თვალში ძველი აღთქმა მის მოსვლას იუწყება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ - და ეს მოციქულთა მოძღვრების ნაწილია - ძველი აღთქმა იესო ქრისტესგან გამომდინარე უნდა იქნას გაგებული და განმარტებული. ის, რაც ძველ აღთქმაში ჩვენთვის, ჩვენი ხსნისათვის, არის მნიშვნელოვანი, იესო ქრისტესთან კავშირშია. არ შეიძლება, რომ უბრალოდ ავიღოთ ერთი მონაკვეთი ძველი აღთქმიდან და ვთქვათ: „ეს ჩვენთვის არის დღეს.“ ის, რაც ძველ აღთქმაში ჩვენთვის, ჩვენი ხსნისათვის, არის მნიშვნელოვანი, სახარების შუქზე უნდა იქნას

გაგებული იესო ქრისტეს სიტყვებისა და საქმეების საფუძველზე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება!

იესო ქრისტემ ისიც თქვა, რომ იმიტომ არ მოსულა ამქვეყნად და მამამ იმიტომ არ მოავლინა, რომ ცოდვილები დასაჯოს. პირიქით, ის ცოდვილების გადასარჩენად იქნა მოვლენილი! იოანე ნათლისმცემელმა ეს არასწორად გაიგო, ასევე მოწაფეებმაც. ისინი ფიქრობდნენ, რომ დასჯა აუცილებელი იყო. გაიხსენეთ პეტრე: მას მღვდელმთავრის იმ მსახურის დასჯა სურდა, რომელსაც იესო უნდა შეეპყრო, და ყური ჩამოათალა მას. იესომ ამაზე უარი თქვა (შევ. ლუკ. 22, 49-51). მეორე შემთხვევაში მოწაფეებს უნდოდათ, რომ ცეცხლი გადმოსულიყო ციდან და ცოდვილები „მოესრა“. იესომ ამაზეც უარი თქვა (შევ. ლუკ. 9, 51-56). ის ცოდვილების დასასჯელად კი არ მოვიდა, არამედ მათ გადასარჩენად. მოციქულთა მოძღვრებაში ნათქვამია, რომ იესო არავის არ მოავლენს მისი სახელით ცოდვილთა დასასჯელად. ვერავინ დაიწყებს ამის მტკიცებას. იესო ქრისტე მხსნელია. რა თქმა უნდა, საზოგადოებამ უნდა დაადგინოს წესები და დამნაშავეები დაისაჯონ, იესო ამის წინააღმდეგი არ იყო. ის პატივს სცემდა თავისი ეპოქის საზოგადოებრივ წესებს. მაგრამ არავის აქვს უფლება იესო ქრისტეს სახელითა და დავალებით დასაჯოს ვინმე. ეს არ შეესატყვისება მის მოძღვრებას.

> იესომ გაიმარჯვა ბოროტზე და ამ გამარჯვების ჩვენთვის გაზიარება უნდა.

იესომ ესეც თქვა: ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური (შევ. იოან. 18, 36). ამით იმის თქმა უნდოდა, რომ იგი დედამიწაზე ადამიანთა ყველა პრობლემის გადასაჭრელად არ მოსულა; ის არ მოსულა იმისათვის, რომ მათი მეფე გამხდარიყო და მათი ქვეყანა ემართა. ებრაელი ხალხი იმედგაცრუებული დარჩა, რამეთუ მისგან იმის მოლოდინი ჰქონდათ, რომ რომაელთა უღლისგან გაათავისუფლებდა მათ და ყველა პრობლემას გადაუჭრიდა. მათ უნდოდათ, რომ იესოს ღარიბები გაემდიდრებინა და სნეულები განეკურნა. მან კი უგულვებელყო ყოველივე ეს. მისი „მეუფება“ ამქვეყნიური არ არის. ის იმისათვის არ მოსულა, რომ ცოდვებისა და წესების ახალი კატალოგი შეედგინა. მან მხოლოდ ეს თქვა: „გიყვარდეს ღმერთი და გიყვარდეს მოყვასი შენი“ (შევ. ლუკ. 10, 27).

ის არ ეთანხმებოდა ფარისევლებს და მათი წესებისა და კანონების გრძელ სიას. იესო ამქვეყნაზე გასაბატონებლად არ მოსულა. სახარება ადამიანთა ამქვეყნიური პრობლემების გადასაჭრელ სიას არ წარმოადგენს. პრობლემები იმიტომ გვაქვს, რომ ეს ქვეყანა ბოროტის ბატონობის ქვეშ იმყოფება. ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაჭრის ამ პრობლემას. არსებობს მხოლოდ ერთი მხსნელი და ეს იესო ქრისტეა. ამ პრობლემის გადაჭრა მას ჩვენი ბოროტისგან გათავისუფლებით უნდა. მას სურს, რომ თავის სასუფეველში შეგვიყვანოს, შემდეგ ახალ შემოქმედებაში, სადაც ბოროტის ადგილი აღარ იქნება, არ იქნება აღარც ტანჯვა და აღარც სიკვდილი. ასეთია იესო ქრისტეს გადაწყვეტილება. ის გვეუბნება, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ გადავრჩეთ და მის სასუფეველში შევიდეთ, სადაც აღარანაირი პრობლემა არ იქნება და აღარ იარსებებს ბოროტი. ეს არის იესო ქრისტეს მოძღვრება.

ქრისტეს მოძღვრებაში შედის ისიც, რომ ღვთის ძე მოვიდა ამქვეყნად, იქცა ჭეშმარიტ კაცად და, როგორც ასეთმა, ბოროტსა და სიკვდილს სძლია. ამით მან უდიდესი დამსახურება მოიპოვა, რაც არც ერთ სხვა ადამიანს არ ძალუძს. შემდეგ კი ის გააკეთა, რასაც ვერც ერთი სხვა ადამიანი ვერ შეძლებს. მან ასი პროცენტით სძლია ბოროტსა და სიკვდილს (შევ. ფილიპ. 2, 5-8). და მას ამ დამსახურების ჩვენთვის გაზიარება სურს; თავისი გამარჯვების გაზიარება უნდა მას ჩვენთვის, ვინაიდან იცის, რომ მარტო ამას ვერ შევძლებთ. ამისათვის მხოლოდ უნდა ვიწამოთ მისი, მივენდოთ მას და არსობრივი თანაზიარება გვქონდეს მასთან. პავლე კიდევ იმას უმატებს, რომ მისი ტანჯვაც უნდა გავიზიაროთ (შევ. ფილიპ. 3, 10). იესო ამქვეყნად იმისათვის არ მოსულა, რომ ყველა პრობლემა გადაგვიჭრას; მას უნდა, რომ განსაცდელის ჟამს სიმტკიცე და ერთგულება შევინარჩუნოთ; მას სურს, რომ ტანჯვის დროსაც გვქონდეს მასთან თანაზიარება.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვიტანჯებით, ისე უნდა დავიტანჯოთ, როგორც ის იტანჯებოდა. ტანჯვის დროსაც უნდა გვიყვარდეს ღმერთი, ვენდობოდეთ მას, ვემორჩილებოდეთ და ბოლომდე ვუერთგულოთ. ამას ჰქვია მისი ტანჯვის გაზიარება. ეს არის იესო ქრისტეს მოძღვრება.

ახლა ბოლო პუნქტი, რომლის დასახელებაც მინდა: მან თქვა, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მის სასუფეველში მოვხვდეთ - და ეს ახალსამოციქულო ეკლესიას არ მოუგონია. მან თქვა, რომ მის სასუფეველში მოსახვედრად წყლისა და სულიწმიდისგან ხელახლა დაბადებაა საჭირო

შუალედში გუნდმა გალობით გაახარა ღვთისმსახურებაზე დამსწრენი

(შევ. იოან. 3, 3). აუცილებელია, მივიღოთ ღვთიური სიცოცხლე, რამეთუ ღმერთთან, მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან თანაზიარება შევძლოთ. მან ისიც თქვა, რომ, ვისაც საუკუნო სიცოცხლის მიღება სურს, მისი ხორცი უნდა ჭამოს და მისი სისხლი უნდა შესვას (შევ. იოან. 6, 54-56). მაშასადამე, წმიდა ზიარების აღნიშვნაა აუცილებელი. ვისაც საუკუნო სიცოცხლის დამკვიდრება სურს, საიდუმლოები უნდა მიიღოს! ძვირფასო ძმემო და დებო, ეს არის მოციქულთა მოძღვრების მოკლე შეჯამება. ძველი აღთქმა აქტუალურია მაშინ, როცა იგი იესო ქრისტეს მოძღვრებასთან კავშირშია და მისი გაგება იესოს სიტყვებისა და საქმეების საფუძველზე ხდება. იესო ქრისტე ვინმეს დასასჯელად კი არ მოსულა, არამედ გადასარჩენად. ის იმისათვის არ მოსულა, რომ ამქვეყნიური პრობლემები გადაეჭრა და საზოგადოებაზე გაბატონებულიყო. ის ჩვენი ბოროტისგან გასათავისუფლებლად და ჩვენი მის სასუფეველში შესაყვანად მოვიდა. მან სძლია ბოროტს და თავისი გამარჯვების ჩვენთან გაზიარება უნდა. ჩვენ მხოლოდ უნდა ვენდოთ მას, გავიზიაროთ მისი სიყვარული, ვიწამოთ მისი და ვუერთგულოთ მაშინაც კი, როცა ვიტანჯებით; ასევე საიდუმლოებიც უნდა მივიღოთ.

იოანეს პირველ ეპისტოლეში შემდეგ წერია, რომ მათ, ვისაც იესო ქრისტესთან და მამასთან თანაზიარება უნდათ, ურთიერთშორის უნდა ჰქონდეთ თანაზიარება. შეუძლებელია ღმერთთან თანაზიარების ქონა და მისი სიყვარული, თუ ურთიერთშორის სიყვარული არ არსებობს. ორივე განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ქრისტესთან ერთად ყოფნა გვინდა, მაშინ ქრისტეში უნდა ვიყოთ ერთნი. იესომ ეს გარკვევით თქვა. თავისი სოლიდარობა ყველა მორწმუნის მიმართ მან ამ სიტყვებით ახსნა: „რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25, 40).

იესო ქრისტესთან თანაზიარება რომ შევძლოთ, მისი გრძნობები, მისი აზრები უნდა გავიზიაროთ. ღვთის ძე - ის ღმერთია - ზეცაში ღვთის დიდებაში ცხოვრობდა, სადაც ყველაფერი სრულყოფილია, წმიდა და მშვენიერი. მან დატოვა ეს დიდება, რამეთუ დედამიწაზე ჩამოსულიყო და ადამიანთა ცხოვრებისეული პირობები გაეზიარებინა. ის მათ სიხარულს, ტანჯვასა და ცხოვრებას იზიარებდა. მან სიკვდილიც კი იკისრა, ვინაიდან ადამიანებიც უნდა მომკვდარიყვნენ. მან დატოვა დიდება, რათა თავისი სოლიდარობა ეჩვენებინა და გამხდარიყო ის, ვინც ჩვენ ვართ - ადამიანი -, და ეს მან მხოლოდ ჩვენი გადარჩენის მიზნით გააკეთა. რა მოხდება მაშინ, თუ იესო ქრისტეს სიყვარულს გულით ვატარებთ? მაშინ ჩვენი მოყვასის მდგომარეობით დავინტერესდებით. ჩვენ მზად ვართ, დავტოვოთ ჩვენი კომფორტის ზონა და დავეხმაროთ მოყვასს, თუ დავინახავთ, რომ ის იტანჯება ან რაიმე სჭირდება. ეს არ არის მთლად კომფორტული. უფრო მარტივი იმათი იგნორირებაა, ვინც იტანჯება. ხშირად მგონია, რომ ტანჯვა გადამდებია; როგორც კი ვინმე უბედურად იგრძნობს თავს, სხვები ყველაფერს აკეთებენ, რომ გვერდი აუქციონ მას. მაგრამ ის არ არის გადამდები!

დავტოვოთ ჩვენი კომფორტის ზონა და მხარში ამოვუდგეთ მოყვასს, მისი ტკივილი და ტანჯვა გავიზიაროთ, ვანუგეშოთ და დავეხმაროთ მას. იესოს თხოვნა მისიანების მიმართ იყო ის, რომ ერთნი ყოფილიყვნენ, როგორც ის და მამა იყვნენ ერთნი (შევ. იოან. 17, 20. 21). იესომ იცოდა, რომ მოწაფეებს შორის თანაზიარება შეუძლებელი იქნებოდა, თუ მამისა და ძის თანაზიარების მონაწილენი არ იქნებოდნენ ისინი. ის მათ ურთიერთდახმარებას შეაგონებდა - „რაც მას გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ“. მაშ, კიდევ ერთხელ: თუ ქრისტესთან თანაზიარება გვინდა, ქრისტეში უნდა ვიყოთ ურთიერთშორის თანაზიარნი!

ამაში რომ დაგვხმარებოდა ღმერთი და შესაძლებელი გაეხადა ჩვენთვის მასთან და ურთიერთშორის თანაზიარება, მოციქულები მოგვივლინა. მოციქულთა მეშვეობით ვიღებთ

პირველმოციქულმა შნაიდერმა აშშ-სათვის ოთხი ახალი მოციქული აკურთხა
ხელდასხმით: ლონი კლაინი, მარკ ფოიერბახი, ჯონ შნაბელი და ბრეტ შტაინბრუკი

ყველაფერს, რაც ღმერთთან და ურთიერთშორის ერთობისთვის გვჭირდება. ამ დროს საქმე ეხება არა პიროვნებას, არამედ სასულიერო თანამდებობას! პირველი, რაც ერთობაში გვეხმარება, მოციქულთა მოძღვრებაა - ახლა მე დღევანდელ მოციქულებზე ვლაპარაკობ. ძალიან მადლობელი ვარ, რომ ახალსამოციქულო ეკლესიაში ერთი მოძღვრება გვაქვს. გვაქვს საერთო რწმენა, მრწამსი და კატეხიზმო. რა სამწუხარო იქნებოდა, თუკი, ვიდრე მოციქულს მოვუსმენდით, იმის შემოწმება მოგვიწევდა, თუ რომელ მხარეს არის იგი, წერილისა და სახარების რომელ ინტერპრეტაციას იზიარებს! ჩვენს ეკლესიაში ეს მარტივია. ჩვენ გვაქვს ერთი მრწამსი, ერთი მოძღვრება, გვყავს ერთი მოძღვარი, გვაქვს ერთი კატეხიზმო და ერთი მიზანი. თუ ერთნი ვიქნებით მოციქულთა მოძღვრებაში, მაშინ ურთიერთშორის ერთობაც მარტივი იქნება. თუ ყოველ მქადაგებელსა და ყველა მორწმუნეს წმიდა წერილის საკუთარი ინტერპრეტაცია ექნება, მაშინ ერთობა შეუძლებელია. სადაც არ უნდა მოღვაწეობდეს სულიწმიდა, ერთობისთვის იღვწის იგი.

მოციქულები ცოდვათა მიტევებასაც გვაუწყებენ. როცა მოციქული ან მის მიერ უფლებამოსილი მღვდელი გვაუწყებს: მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენიო, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ღმერთმა შეგვიწყალა. ცოდვათა შენდობის გარეშე, როგორც ცოდვილები, ვერ შევძლებთ ღმერთთან თანაზიარებას და მის სასუფეველში შესვლას. ჩვენ ცოდავათა შენდობის შედეგად უნდა განვიწმიდოთ.

მოციქულთა მეშვეობით წმიდა ნათლობისა დ სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოები გვენიჭება, ამასთან ერთად ღვთიური სიცოცხლე. როგორ შევძლებდით ღმერთთან თანაზიარებას, თუკი ღვთიური სიცოცხლის მატარებლები არ ვიქნებოდით? ახალ ქმნილებას იესო ქრისტეში - და მხოლოდ მას - შესწევს უნარი, შევიდეს ღვთის სასუფეველში. ახალ ქმნილებად იმისათვის უნდა ვიქცეთ, რომ ღმერთთან საუკუნო თანაზიარება გვქონდეს, რასაც იესო ქრისტეს მიერ მოვლენილი მოციქულები გვანიჭებენ - „მონათლეთ ისინი“ (მათ. 28, 19)! სულიწმიდის მადლს მოციქულთა მეშვეობით ვიღებთ.

ბოლო პუნქტი: იქ, სადაც სულიწმიდა მოციქულთა მეშვეობით მოღვაწეობს, წმიდა ზიარების ჩატარება შეგვიძლია და ამით იმის მიღება, რაც ჩვენი გამოსყიდვისთვის არის საჭირო - იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლის. გაიხსენეთ ეს სიტყვები: „თუ არ შეჭამთ ჩემს ხორცს ...“. იესოს ხორცსა და სისხლს მოციქულთა მეშვეობით ვიღებთ. როცა თემი წმიდა ზიარებას ზეიმობს, იესოს ხორცი და სისხლი სუფევს იქ. იესო ისე კი არ სუფევს, როგორც სული, ან უბრალოდ ჩვენს მეხსიერებაში კი არ ცოცხლდება, არამედ ის ჭეშმარიტად სუფევს ხორცსა და სისხლში. ეს არ არის მხოლოდ იდეა, არ არის მხოლოდ კონცეფცია ან ინსპირაცია. არა, როცა წმიდა ზიარებას მოციქულთა წრეში ვზეიმობთ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ იმ წუთებში იესო ხორცსა და სისხლში სუფევს. ის ნამდვილად არის იქ, ის ჩვენთან არის, ის ჩვენს გვერდით არის. ამის განცდა შესაძლებელია. ის აღარ არის მკვდართა საუფლოში, არამედ ის ცოცხალია და აქ არის.

რა ხდება, როცა ის ჩვენს შორის სუფევს? რა მოხდა, როცა იესო მოწაფეებთან ერთად იყო? ის მათ სხვების განსჯის უფლებას არ აძლევდა. ეს არ ევალებოდათ მათ. ის მათ ერთმანეთთან კამათის უფლებას არ აძლევდა. ბევრი პრობლემის გადაჭრა მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ იესო იყო იქ. როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, იესო ჩვენთან არის. მისით, მისი ხორცისა და სისხლის საშუალებით, მის არსს ვეზიარებით. ის ასაზრდოებს ახალ ქმნილებას ჩვენში და ჩვენ შეგვიძლია შევეზარდოთ მას, რამეთუ ღვთის სასუფეველში შესასვლელად მოვემზადოთ.

წმიდა ზიარება იმაშიც გვეხმრება, რომ ქრისტეში თანაზიარება გვქონდეს ურთიერთშორის. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენ სხეული ვართ, ვინაიდან ყველა ერთ პურს ვეზიარებით (1. კორ. 10, 17). როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ვხედავთ, რომ ყველა ერთსა და იმავე პურს ვიღებთ. ეს პური, ერთი მხრივ, სიტყვაა, იესო ქრისტეს მოძღვრება, მეორე მხრივ კი - იესოს ხორცი და სისხლი. და ჩვენ ყველა ერთსა და იმავე

პურს ვიღებთ. მთელი თემი ხედავს, რომ ყოველი ღვთისშვილი, ყოველი მორწმუნე ერთსა და იმავე მოძღვრებას და ერთსა და იმავე საიდუმლოს იღებს - და რომ ის ყველაზე მოქმედებს, მიუხედავად პიროვნებისა და სიტუაციისა, რომელშიც ისინი იმყოფებიან. თემის შიგნით არსებული ინდივიდუალური ცხოვრებისეული სიტუაციები რეალურად ძალიან განსხვავებული შეიძლება იყოს; მაგრამ, როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ვხედავთ, რომ აქ მხოლოდ ერთი პურია. მიზანი ყვალასთვის ერთია. ყველამ იგივე გზა უნდა გავიაროთ და უნდა გვწამდეს ამის.

ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვებისგან გამოყოფას. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ადამიანები თავიანთი განსხვავებების კულტივირებას ახდენენ, რათა აჩვენონ: „არა, მე შენნაირი არ ვარ. პატივი უნდა მცეთ მე. მე სხვანაირი ვარ.“ ეს ნორმალურია. პატივი უნდა ვცეთ მოყვასის სხვაგვარობას. ამაზე არ უნდა ვიკამათოთ. მაგრამ ჩვენი მიზანი ჩვენს განსხვავებებზე ყურადღების მიპყრობა და დაჟინებით მათზე ხასგასმა არ უნდა იყოს. ერთი პური გვაქვს! ჩვენ ერთი სხეული ვართ! ყურადღება იმით მივიქციოთ, რაც ქრისტეში გვაქვს საერთო! ჩვენს განსხვავებებს მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამოსავალი ყველასთვის ერთი და იგივეა. გზა, რომელიც უნდა გავიაროთ, ყველა ჩვენთაგანისათვის ერთია. გთხოვთ, შევწყვიტოთ ჩვენი განსხვავებების კულტივირება. დიახ, ჩვენ პატივს ვცემთ მოყვასის სხვაგვარობას, მაგრამ, მოდით, იმაზე ვიყოთ კონცენტრირებულნი, რაც საერთო გვაქვს.

როცა იესო წმიდა ზიარებას აწესებდა, თავიდან მოწაფეებს ცოტაოდენი პური მისცა. შემდეგ აიღო ღვინით სავსე სასმისი, მისცა პირველ მოწაფეს და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან“ (მათ. 26, 27). სასმისი ერთი იყო და ამიტომ პირველ მოწაფეს იგი მეორისათვის უნდა გადაეცა, მეორეს მესამისათვის დააშ.ასედატრიალდაესღვინიანისასმისიმოწაფეებს შორის. იესომ თქვა: „... ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათ. 26, 28). მშვენიერი სურათია. ღვინით, იესოს სისხლით, ავსებული ეს სასმისი მოწაფეებს შორის ცირკულირებდა, როგორც სისხლი ცირკულირებს სხეულში. ერთი სისხლი, ერთი სხეული. ცხადია, წმიდა ზიარებას დღეს პრაქტიკული თვალსაზრისით ღვინის შემცველი სეფისკვერებით ვატარებთ, მაგრამ მნიშვნელობა რჩება. როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, თემში იესოს სისხლი მიედინება და ცირკულირებს. ყველას კარგად გვესმის, რომ ყველა ჩვენთაგანი იესო ქრისტეს სისხლით უნდა განიწმიდოს, თორემ ვერც გამოსყიდვას და ვერც ხსნას ვერ მივაღწევთ. ცოდვების შენდობაც გვჭირდება. მთლიანად ამაზე ვართ დამოკიდებულნი. სხეულის თვითეული ნაწილი სისხლის მიმოქცევაზეა დამოკიდებული. პავლემ თქვა: „თვალი ვერ ეტყვის ხელს: არ მჭირდებიო. ვერც თავი ფეხს: არ მჭირდებიო“ (1. კორ. 12, 21). ეს თემის, ეკლესიის, ეკლესიის ერთიანობის, მორწმუნეთა ერთობის მშვენიერი სურათია: ჩვენ, ყველა, მთლიანად იესო ქრისტეს სისხლზე ვართ დამოკიდებულნი. ეს ერთობაში გვეხმარება, რასაც მაშინ განვიცდით, როცა სულიწმიდა მოციქულთა მეშვეობით მოქმედებს.

ბოლო პუნქტი წმიდა ზიარებასთან დაკავშირებით: როცა მას ვზეიმობთ, წინასწარ ვტკბებით იმ დიდი ნადიმით, რომელსაც ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან ერთად ზეცაში დავესწრებით. ის გვახსენებს, რომ ყველას ერთი მომავალი გვაქვს, და ეს მომავალი სიხარულს მოგვიტანს. რა სიტუაციაშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, მაინც ერთი მიზანი გვაქვს და, როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ყველა ერთად ვამბობთ: „რაც არ უნდა მოხდეს, ის მაინც მოვა.“ ამაში დარწმუნებულნი ვართ. ადამიანებსა და ეშმაკს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც სურთ. მეორედ მოსვლაში იესოს ვერავინ შეუშლის ხელს, მერე კი, მოდით, ყველა ერთად შევიდეთ მის სასუფეველში.

ჩემო ძვირფასო, ძმებო და დებო, „ერთად ქრისტეში“, ეს არის ჩვენი წლევანდელი დევიზი. ჩვენი მიზანი ქრისტესთან საუკუნო თანაზიარებაა. ამისათვის მოციქულთა მოძღვრების რწმენაა აუცილებელი, როგორც ის ბიბლიაშია მოცემული. იესოს ისეთს ვხედავთ, როგორიც ის ბიბლიურმა მოციქულებმა აღწერეს. იმისათვის, რომ იესოსთან თანაზიარება გვქონდეს, ურთიერთშორის თანაზიარებაა საჭირო. ორივე, თანაზიარება ღმერთთან და თანაზიარება ურთიერთშორის, შესაძლებელია, რამეთუ ყველაფერს, რაც გვჭირდება, სულიწმიდისა და მის მიერ მოვლენილი მოციქულების მოღვაწეობის შედეგად ვიღებთ. ეს არის ჩვენი საუნჯე. ეს არის ჩვენი რწმენა. ჩვენ მადლობლები ვართ მამაზეციერისა მისი მადლისა და წყალობისათვის!

ძირითადი აზრები

ჩვენი მიზანი ღმერთთან თანაზიარებაა. ამ მიზნით მოციქულთა მოძღვრების ერთგულნი ვრჩებით და ჩვენი წვლილი შეგვაქვს მორწმუნეთა ერთობაში. წმიდა ზიარების ერთად ჩატარება ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარებას გვინმტკიცებს.

კაენი არ უსმენს ღმერთს

დაბ. 4, 1-16-ის მიხედვით

ადამსა და ევას ორი ვაჟი ჰყავდათ. უფროსს კაენი ერქვა, უმცროსს კი - აბელი. აბელი მწყემსი იყო.

ერთ დღესაც კაენმა ღმერთს „მიწის ნაყოფთაგან ძღვენი“ მიართვა. აბელმაც შესწირა ღმერთს თავისი „ცხვრების პირმშოთაგან და მათი ცხიმიდან“. ღმერთმა აბელსა და მის ძღვენს მოწყალედ მოჰხედა. ამან კაენი გაამწარა და სახე მოეღუშა.
ღმერთმა ჰკითხა კაენს: „რა გეწყინა? რად მოგიღუშავს სახე? თუ სიკეთეს სჩადიხარ, ხომ დაგიფასდება? ხოლო თუ სიკეთეს არ სჩადიხარ, მაშინ კარებთან დაგელოდება შენი ცოდვა და შენსკენ იქნება მისი სწრაფვა, ნუ დანებდები.“
კაენმა თავის ძმა აბელს უთხრა: „გავიდეთ ველად.“ და



როცა ისინი ველად იყვნენ, მან მოკლა თავისი ძმა.
ღმერთმა ჰკითხა კაენს: „სად არის შენი ძმა აბელი?“
კაენმა კი მიუგო: „არ ვიცი, განა მე ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“
ღმერთმა უთხრა: „ეს რა ჰქენი! შენი ძმის სისხლის ხმა შემომღაღადებს მიწიდან! წყეულიმც იყავ! დაამუშავებ მიწას, მაგრამ ის მოსავალს არ მოგცემს. უსამშობლოდ დარჩები.“
კაენმა უპასუხა: „მძიმეა ჩემი სასჯელი, ვერ ავიტან. მაძევებ დღეს მე პირისაგან მიწისა და უნდა დაგემალო. აღარ მექნება სახლ-კარი. და ვინც მიპოვის, მომკლავს.“
მაგრამ ღმერთი მოწყალეა. მან კაენს ნიშანი დაადო, რათა მისთვის არავის არაფერი დაეშავებინა: „შენი მკვლელი შვიდგზის იქნება შურისგებული.“ და კაენი გასცილდა ღმერთს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02. 2022 წ; ილუსტრაციები: მარელა ფორტუნატი

სტუმრად ობრისთან პალატინში (აშშ)

ჩემი სახელია ობრი. ვცხოვრობ პალატინში, ჩიკაგოს მახლობლად. ჩიკაგო ილინოისის შტატის დიდი ქალაქია. ვარ რვა წლის.

მყავს ოთხი და-ძმა: ჩემი და მაკენზი თერთმეტი წლის არის, ჩემი ძმა კოლინი - ხუთის. ჩემი ორი უმცროსი და - ემერსონი და მელორი - სამი წლის ტყუპები არიან. დედაჩემი ბრიტა მათემატიკის მასწავლებელია, ხოლო მამაჩემი მაიკლი - პროექტის მენეჯერი.

აქ ჩიკაგოში „ღრუბლის კარიბჭის“ (Cloud-Gate-Skulptur) სკულპტურასთან მხედავთ, რომელსაც უმრავლესობა სიყვარულით „ლობიოს“ ეძახის. მაცვია პიტნისფერი მწვანე მაისური - პიტნისფერი მწვანე ჩემი საყვარელი ფერია!

ჩემი დიდი ოჯახი ჩიკაგოს გარეუბანში ცხოვრობს, მათ შორის ჩემი ბებია-ბაბუა და დეიდები და ბიძები. ბაბუაჩემი ქალაქის ავტობუსებს არემონტებს ჩიკაგოს სატრანზიტო სამმართველოსთვის.

მართალია, დიდი ქალაქის მახლობლად ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი სახლი ნაკრძალის ახლოს მდებარეობს. როცა კარგი ამინდია, დიდხანს და სიამოვნებით ვსეირნობთ. ამ მხარეში ბევრი ცხოველი ბინადრობს, როგორიცაა შველი, არწივი,

ბატი, ყანჩა და იხვი. ზოგჯერ კოიოტებსაც ვხედავთ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის, როცა შიგადაშიგ რომელიმე ცხოველი ამოყოფს ხოლმე თავს ჩვენს ბაღში.

მაკენზი, კოლინი და მე ერთ სკოლაში დავდივართ. დიდი ხნის განმავლობაში, კორონა-ვირუსის პანდემიის გამო, სახლიდან ვსწავლობდით, მაგრამ ახლა სკოლაში სიარული შეგვიძლია. ძალიან მიხარია, რომ ისევ ვნახულობ ყველა ჩემს მეგობარს.

გაკვეთილების შემდეგ ტანვარჯიშზე მივდივარ ან ფეხბურთს ვთამაშობ. უკვე ოთხი წელია, რაც ტანვარჯიშზე დავდივარ. განსაკუთრებით ძელზე ვარჯიში მომწონს. ფეხბურთის თამაში ერთი წლის წინ დავიწყე და კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი, თუმცა გასული სეზონის ბოლო თამაშზე გოლი გავიტანე!

ზაფხულის არდადეგებზე ჰილტონ ჰედში, სამხრეთ კაროლინის კუნძულზე, მივდივართ დასასვენებლად. იქ ატლანტიკის ოკეანეში ცურვა მიყვარს ჩემს და-ძმებთან ერთად. მიყვარს ზღვის პროდუქტები, იქ ეს ბევრია, განსაკუთრებით კი მიდიები და კრევეტები.

კორონა-ვირუსის პანდემიის გამო ჩვენი ეკლესია მთელი ერთი წლით დაკეტილი იყო. ამ ხნის განმავლობაში ღვთისმსახურებებს, რომლებსაც ჩვენი მოციქულები ატარებდნენ, იუთუბის მეშვეობით სახლიდან ვადევნებდით თვალყურს. საკვირაო გაკვეთილებს ონლაინ ვესწრებოდი ზუმის მეშვეობით. იმ დროს, როცა ჩვენი ეკლესია დაკეტილი იყო, ედისონში ეკლესიის ახალი შენობა ააშენეს ჩვენი თემისთვის, ის უკვე დასრულებულია. იგი ძალიან ლამაზი და ბევრად დიდია, ვიდრე ძველი შენობა. ერთი სული მაქვს, როდის აკურთხებს ჩვენი სამხ. მოციქული ეკლესიის ახალ შენობას, რომ საკვირაო სკოლის გაკვეთილები იქ ჩაგვიტარდეს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03. 2022 წ. ფოტოები: ბორაგი ©Drone Dood - stock.adobe.com

ფოტო: Photographee.eu - stock.adobe.com

ევთანაზიასა და პალიატურ მედიცინას შორის

სიკვდილზე ფიქრი ხშირად შიშს იწვევს: ტანჯვას, მარტოობას, სხვის გულმოწყალებაზე დამოკიდებულებას. ამ დროს სწრაფად უჩნდება ადამიანს იმის სურვილი, რომ თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ დაასრულოს სიცოცხლე - ეს დანის წვერზე სიარულს ჰგავს, რომლის დროსაც ქრისტიანული რწმენა მეგზურობას სთავაზობს კაცს.

თვითმკვლელობის განხორციელებაში თანადგომას ხშირად ევთანაზიასთან აკავშირებენ. მოთხოვნით სიკვდილისგან განსხვავებით, პაციენტი ამ შემთხვევაში თავად იწვევს სიკვდილს. მას ამ დროს სხვა პიროვნება უდგას მხარში (ეხმარება).

კანონმდებლობა ევთანაზიასთან და თვითმკვლელობაში ხელშეწყობასთან დაკავშირებით კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკით განისაზღვრება და ძალიან განსხვავებულია. მიმდინარეობს საზოგადოებრივი დებატები ყოველივე ამის ლეგალიზაციასთან მიმართებაში. ცალკეული ქვეყნის შესაბამისი კანონების მოძიება ინტერნეტშია შესაძლებელი.

დახმარება სიკვდილში

სიკვდილის მოახლოებასთან დაკავშირებით აუცილებელია აიწონ-დაიწონოს, თუ რომელი სამედიცინო მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს. პაციენტმა, ექიმებმა და ახლობლებმა უნდა გაარკვიონ, თუ რამდენად არის დასაშვები ავადმყოფობის ბუნებრივი მიმდინარეობა. თუკი პაციენტს თავად აღარ შესწევს გადაწყვეტილების

მიღების უნარი, მაშინ მკურნალობის მასშტაბებთან და პაციენტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომელიც, შეძლებისდაგვარად, აქტუალური უნდა იყოს, სხვა პირს უნდა გადაეცეს. თუმსგავსი რამ არ არსებობს, მაშინ კანონმდებლობის თანახმად ექიმებსაც შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება ნათესავებთან შეთანხმებით.

ამ დროს თერაპიის მიზანს უკვე აღარ წარმოადგენს განკურნება და სიცოცხლის გახანგრძლივება. მთავარი ისეთი სიმპტომების შემსუბუქებაა, როგორიცაა ტკივილები, სუნთქვის უკმარისობა და სხვა თანმდევი სიმპტომები. მიზანი სიკვდილის გამოწვევა კი არ არის, არამედ სნეულების ბუნებრივი მსვლელობა და მერე სიკვდილი. ამაში შედის სიცოცხლის გამახანგრძლივებელ მედიკამენტებზე უარის თქმა (მაგ., რეანიმაციაზე, ხელოვნურ სუნთქვაზე, ხელოვნურ კვებაზე, დიალიზზე), სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მედიკამენტების შემცირება ან კონკრეტული ზომების მიღების უგულვებელყოფა. მიზანშეწონილი არ არის ყველა თერაპიული შესაძლებლობის გამოყენება. კვება და ფიზიოლოგიური ხსნარის გადასხმა მანამ უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ეს შემაწუხებელი არ გახდება მომაკვდავისათვის.

ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ პალიატიური მედიცინის მეშვეობით ისეთი შემაწუხებელი სიმპტომების შემსუბუქება ან შენელება მოხდეს, როგორიცაა ტკივილები, სუნთქვის უკმარისობა და შიში. სიცოცხლის ბოლოს ასევე მნიშვნელოვანია მოვლა და ადამიანური მზრუნველობა. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰოსპისსა და ჰოსპისის მომსახურებას. ამ დროს ყველა კულტურასა და რელიგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნათესავებისა და სასულიერო პირების გვერდით ყოფნას.

სამედიცინო, ადამიანური და სასულიერო მზრუნველობის მიუხედავად სიცოცხლის ბოლოს საქმე იშვიათად მიდის ძლიერ ტკივილებამდე, დიდ შიშსა და შფოთვამდე. პაციენტთან ან მის ნათესავებთან შეთანხმებით, სიმპტომების გასაკონტროლებლად შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი მედიკამენტების გამოყენება. გვერდითი მოვლენა შეიძლება გახდეს სუნთვის უკმარისობა და იშვიათ შემთხვევებში სიცოცხლის შემოკლება.

ეთიკური თვალსაზრისი

საერთო მოთხოვნაა, რომ ადამიანის ღირსება სიკვდილის მომენტშიც იქნას დაცული. იმ დროს, როდესაც აქტიური ევთანაზიის მომხრეები ამაში ნებაყოფლობითი სიკვდილის უფლების რეალიზებას ხედავენ და, ამდენად, ევთანაზიაში და თვითმკვლელობაში დახმარებისკენ მოუწოდებენ, აქტიური ევთანაზიის მოწინააღმდეგების ძირითად არგუმენტს ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა წარმოადგენს: არავის აქვს უფლება, აქტიურად დაასრულოს ადამიანის სიცოცხლე.

ადამიანის ნების შესრულება ან შეუსრულებლობა, მაგ., გადაწყვეტილების მიღების უფლების სხვა პირისათვის გადაცემა, განიხილება როგორც ადამიანის ღირსების პატივისცემის ან უპატივცემულობის მაგალითი. ზოგიერთ ნაშრომში თვითგამორკვევა ადამიანის ღირსებასთან არის გაიგივებული.

ევთანაზიისა და თვითმკვლელობაში დახმარების მომხრეთა მთავარ არგუმენტს ტანჯვის პრევენცია წარმოადგენს, რასაც ძნელია არ დაეთანხმო.

მედიცინისა და თანამედროვე ეთიკის მთავარი მიზანი ტანჯვის შემსუბუქებაა. ხშირად ტანჯვას ტკივილებთან აიგივებენ. თუმცა ტანჯვა უფრო ნეგატიური გამოცდილებების ერთობლიობას განასახიერებს. აუტანელი ტანჯვა, რასაც ადამიანი განიცდის, ძირითადად მის განწყობაზეა დამოკიდებული.

დახმარება აუტანელი ტანჯვის დროს იმის ჩვენება შეიძლება იყოს, რომ ტანჯვა ისეთი უზენაესი სიკეთეების ჩამოყალიბების მიზეზს წარმოადგენს, როგორიცაა ცხოვრებისეული გამოცდილება და სათნოება. ეს ახალ პერსპექტივებს იძლევა. და მაშინ ცხოვრებას მძიმე დაზიანებებისა და უნარშეზღუდულობის დროსაც კი აზრი და მნიშვნელობა ექნება. ამდენად, შესაძლებელი გახდება, რომ ისე აღვიქვათ და დავინახოთ სიკვდილი, როგორც უკანასკნელი დიდი ამოცანა ცხოვრებაში.

ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა შეშფოთების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თანდათან ფართოვდება ის წინაპირობები, რომლის დროსაც აქტიური ევთანაზია უნდა იქნას დაშვებული (მაგ., განუკურნებელი სენით დაავადებული პაციენტებისათვის, რომლებიც დაავადების ბოლო სტადიაში იმყოფებიან), ასევე ადამიანთა იმ ჯგუფისათვის, ვისთვისაც ეს დაშვებული უნდა იყოს (მაგ., მოზრდილებისათვის). მაგ., ქვეყნები, რომლებმაც, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, აქტიური ევთანაზია ჯერ მოზრდილებისათვის გახადა კანონიერად შესაძლებელი, მომავალში ბავშვებისთვისაც დაუშვებენ ამას.

ტრადიციული გაგებით, ექიმი ავადმყოფს სნეულების დამარცხებაში ეხმარება. პაციენტებს იმის იმედი აქვთ, რომ იგი გამოჯანმრთელებაში დაეხმარება მათ. თუ ექიმებს აქტიური ევთანაზიის (მოთხოვნით სიკვდილის) უფლება მიეცემათ, მაშინ ნდობა შეიძლება დაირღვეს. პროფესიული სამედიცინო ორგანიზაციები ამ ნდობის დაკარგვის საფრთხეზე მიუთითებენ. ევთანაზიისა და თვითმკვლელობის მომხრენი ექიმების მხრიდან ასატან სიკვდილში ხელშეწყობას ხედავენ.

ღირსეული სიკვდილი

ევთანაზიის შესახებ დისკუსია უმეტესად ცალმხრივია და ძირითადად ეხება კითხვას, არის თუ არა ევთანაზია და თვითმკვლელობა, ე. ი. სუიციდში დახმარება, ეთიკურად გამართლებული და კანონიერად დაშვებული ან მოთხოვნადი.

ევთანაზიის შესახებ დისკუსია უმეტესად ცალმხრივია და ძირითადად ეხება კითხვას, არის თუ არა ევთანაზია და თვითმკვლელობა, ე. ი. სუიციდში დახმარება, ეთიკურად გამართლებული და კანონიერად დაშვებული ან მოთხოვნადი.

ალბათ არავის სურს, რომ სიცოცხლის ბოლოს მარტო და მიტოვებულად, ზედმეტად და სხვის გულმოწყალებაზე დამოკიდებულად იგრძნოს თავი. ადამიანის ღირსების პატივისცემის მიზნით სწორედ სიცოცხლის ამ ფაზაშია აუცილებელი წინდახედული, ყურადღებიანი და თანაგრძნობით აღსავსე მოვლა-პატრონობა. ამაში თავისი წვლილი შეიძლება შეიტანოს კვალიფიციურმა პალიატიურმა მედიცინამ და მომაკვდავის გვერდით ყოფნამ.

ქრისტიანული თვალსაზრისი

ქრისტიანული თვალსაზრისით, სიცოცხლე ღმერთმა გვიბოძა. ადამიანს ღირსება ღვთის წყალობით მიეცა (ღვთის ხატება), მისი უნარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად. შესაბამისად ევთანაზია და სიუციდში დახმარება ღვთის ამ მცნებას არღვევს: „არა კლა.“

სიცოცხლე, როგორც ღვთის საბოძვარი, არ შეიძლება, რომ თვითნებურად დასრულდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შესაძლო საშუალება უნდა იქნას გამოყენებული სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ქრისტიანული თვალსაზრისით, ცოდვად არ ითვლება ის, როცა სნეული და მომაკვადავი ადამიანი თერაპიაზე ან სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ღონისძიებებზე იტყვის უარს ანდა თერაპია და ეს ღონისძიებები აღარ გაგრძელდება, ვინაიდან მძიმე ავადმყოფებს „მშვიდობით სიკვდილი სურთ“.

მოყვასის სიყვარულის მცნების თანახმად ოჯახი, თემი და სასულიერო პირები მოწოდებულნი არიან, მძიმე ავადმყოფსა და მომაკვდავზე იმგვარად იზრუნონ, რომ შეუნელდეს მას მიტოვებისა და სხვების გულმოწყალებაზე დამოკიდებულების შიში, ასევე შიში იმისა, რომ ვერ გაუმკლავდება სიკვდილის პროცესს. მძიმე ავადმყოფისა და მომაკვდავისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულით აღსავსე და ყურადღებიან მოპყრობას ნათესავებისა და სპეციალისტების მხრიდან სასიამოვნო გარემოში, სახლში, ჰოსპისში ან პალიატიურ სტაციონარში.

ასევე ძლიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ სამედიცინო პალიატიური მზრუნველობის შედეგად ტკივილები და სნეულება სიცოცხლის ბოლოს უმეტეს შემთხვევაში ასატანი შეიძლება გახდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვერც ოპტიმალური პირობები ამარტივებს ყველაფერს. სიკვდილი და დანაკარგი მტანჯველია მომაკვდავისთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც. თუმცა ჩვენ, ქრისტიანებს, ღვთისადმი ნდობიდან, მისი თანადგომის იმედიდან და სიახლოვიდან გამომდინარე სწორედ მძიმე სიტუაციებში შეგვიძლია ნუგეში და ძალა მივიღოთ. ცოდნა იმისა, რომ საუკუნო სიცოცხლეს დავიმკვიდრებთ და ჩვენი მომავალი ღმერთთან არის, განშორების შიშს ამცირებს.

ახალსამოციქულო ეკლესიის პოზიცია

ღირსეული სიკვდილის უფლება ყველა ადამიანს აქვს. ევთანაზია და პალიატიური მედიცინა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს ეხება, ვისთვისაც განკურნების ან ტანჯვის შემსუბუქების პერსპექტივა აღარ არსებობს. ქრისტიანული თვალსაზრისით, აქ მხოლოდ სიკვდილის პროცესში შეიძლება დახმარება და არასოდეს სიკვდილის დადგომაში.

ევთანაზია და სუიციდში დახმარება ღვთის ამ მცნებას არღვევს: „არა კლა.“

სიკვდილის დაშვება სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ღონისძიებებზე უარის თქმის მეშვეობით არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული რწმენის პრინციპებს. სიმპტომების კონტროლის მიზნით ტკივილების გაყუჩებას ან დაწყნარებას სიკვდილის პროცესში სიცოცხლის შემოკლების მცირე რისკი შეიძლება ახლდეს თან. ვინაიდან ამ ღონისძიებების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სიმპტომების კონტროლია, მათი მხარდაჭერა შეიძლება.

უმეტეს შემთხვევაში პალიატიურმა მედიცინამ ტკივილები და სნეულება ასატანი შეიძლება გახადოს სიცოცხლის ბოლოს. კვება და ფიზიოლოგიური ხსნარის გადასხმა მანამ უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ეს შემაწუხებელი არ გახდება მომაკვდავისათვის.

ადამიანის ქრიტიანული ხატის შესაბამისად ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რომ მძიმე ავადმყოფისა და მომაკვდავისათვის სასიამოვნო გარემო შეიქმნას, სადაც ნათესავები და სპეციალისტები სიყვარულით, წინდახედულად და ყურადღებით მოეპყრობიან მათ.

მომაკვდავისა და მისი ახლობლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სასულიერო თანადგომა სახარების შინაარსებს ეფუძნებოდეს, რომელიც მუდმივ და საიმედო მხარდაჭერას წარმოადგენს სიცოცხლის იმ ფაზაში, როცა ბევრი რამ იცვლება. სასულიერო თანადგომას შიშების შემცირება და გონებრივი და სულიერი ძალების მობილიზება ძალუძს.

თერაპიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება სიცოცხლის ბოლოს თავად პაციენტმა უნდა მიიღოს. აქ მას ექიმებისა და ნათესავებისგან რჩევის მიღება შეუძლია. თუ ეს უკვე შეუძლებელია, მაშინ გადაწყვეტილება ნათესავებმა უნდა მიიღონ მკურნალ ექიმებთან ერთად, ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პაციენტის სავარაუდო ნებას. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში სასარგებლოა, როცა პაციენტის ანდერძი არსებობს, რომელიც მომაკვდავის ნებას გამოხატავს.

გამოქვეყნებული დირექტივები და კანონები იმდენად უნდა იქნას დაცული, რამდენადაც ისინი ქრისტიანულ ღირებულებებს არ ეწინააღმდეგება.

შეჯამება

ღირსეული სიკვდილის უფლება ყველა ადამიანს აქვს.

ევთანაზია და პალიატიური მედიცინა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს ეხება, რომლისთვისაც უკვე აღარ არსებობს განკურნების ან ტანჯვის შემსუბუქების პერსპექტივა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს შეიძლება იყოს სიკვდილის პროცესში დახმარება და არავითარ შემთხვევაში დახმარება სიკვდილის დადგომაში. უგულვებელყოფილია ევთანაზია და დახმარება სუიციდში.

სიკვდილის დაშვება სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ღონისძიებებზე უარის თქმით და სიმპტომების კონტროლის მიზნით ტკივილების შემსუბუქება და დაწყნარება, რასაც სიცოცხლის შემოკლების მცირე რისკი ახლავს თან, არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული რწმენის პრინციპებს.

ადამიანის ქრისტიანული ხატის ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პალიატიურ მზრუნველობას. სახარების აზრისამებრ, ახლობელი ადამიანების თანადგომამ და სასულიერო თანადგომამ შეიძლება პაციენტს შიშები შეუმციროს და მისი გონებრივი და სულიერი ძალების მობილიზება მოახდინოს. პაციენტის ანდერძმა კი ხელი შეიძლება შეუწყოს იმას, რომ მომაკვდავზე ისე იზრუნონ, როგორც მას სურს.

ფოტო: Trsakaoe - stock.adobe.com

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ჩვენ ჩვენი ტემპით მივდივართ

სამხ. მოციქულთა საშემოდგომო ყრილობა დასრულდა. ყურადღება ძირითადად გამახილებულ იქნა შემდეგ თემებზე: სასულიერო თანამდებობის გაგება, ბიბლიის ავტორებთან დაკავშირებული კითხვები და ახალი ძირითადი მიმართულებანი მღვდელმსახურთათვის.

ბევრი ქრისტიანული კონფესიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია კითხვები ბიბლიის ავტორებთან დაკავშირებით: მაგ., პავლეს ეპისტოლე ნამდვილად პავლეს მიერ არის შედგენილი თუ რომელიმე მისი მოსწავლის მიერ, ვინ დაწერა სახარებები და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი კითხვა ამ კონტექსტში. სამხ. მოციქულთა ყრილობაზე მკაფიოდ იქნა ნათქვამი, რომ ახალსამოციქულო ეკლესიაში არ უნდა იყოს ლაპარაკი უფლებამოსილებასა და მეცნიერებას შორის კონფრონტაციაზე.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ წმიდა წერილი სულიწმიდის მიერ არის ინსპირირებული. მთავარი ავტორის საკითხი კი არ არის, არამედ მოცემული ბიბლიური ტექსტის შინაარსი. ის, თუ რას ამბობს იგი ჩვენს ხსნაზე, ჩვენს გამოსყიდვაზე“- ასე დაიწყო პირველმოციქულმა შნაიდერმა თავისი გამოსასვლელი სიტყვა დღის წესრიგის ამ პუნქტთან მიმართებაში.

ავტორიტეტს ავტორობის საკითხთან კავშირი არა აქვს

მაშასადამე, ბიბლიური წიგნების ნამდვილი ავტორი ღმერთია. ბიბლიური წერილების ავტორიტეტი მათ ღვთიურ ინსპირაციას ეფუძნება და არ არის დამოკიდებული იმათზე, ვინც ისინი შეადგინა - არა აქვს მნიშვნელობა იმას, იყვნენ ისინი მოციქულები თუ წინასწარმეტყველნი. ამდენად, ეგზეგეტიკურ (ეგზეგეტიკა არის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტებას) დასკვნას იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა რომელიმე ეპისტოლე ამა თუ იმ ავტორს, ამ ეპისტოლესათვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. მოძღვრებასთან დაკავშირებული მოციქულთა უფლებამოსილება არ ემსახურება ეგზეგეტიკური პრობლემების გადაჭრას. პირიქით, ის უფრო ეკლესიის მოძღვრების სიწმინდისა და მისი უწყების უზრუნველსაყოფად არის მოცემული.

ამ საკითხთან მიმართებაში კატეხიზმოც ერთმნიშვნელოვან პოზიციაზე დგას. იქ ნათქვამია: „წმიდა წერილის ავტორი ღმერთია, მისი შემადგენლები სულიწმიდის მიერ შთაგონებული ადამიანები არიან. ღმერთმა გამოიყენა მათი უნარები, რათა წერილობით აღბეჭდილიყო ის, რაც მისი ნების შესაბამისად უნდა ყოფილიყო გადმოცემული. ცხადია, შინაარსის მიხედვით ბიბლიური წიგნები სულიწმიდაში იღებს სათავეს, ხოლო ფორმისა და გამოხატვის მეთოდის მიხედვით ისინი შესატყვისი ავტორებისა და მათი წარმოდგენითი სამყაროს შესაბამისად არის ჩამოყალიბებული“ (კატ. 1. 2).

ძირითადი მიმართულებანი მღვდელმსახურთათვის

მუშაობის პროცესშია ახალი წიგნი „ძირითადი მიმართულებანი მღვდელმსახურთათვის“. იგი შეიცავს ეკლესიის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ეკლესიის სამართლებრივ დებულებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სასულიერო თანამდებობისა და დავალების აღსრულება. ძირითად შენიშვნებთან ერთად მოცემული იქნება თავები, სადაც დეტალურად იქნება განხილული სასულიერო თანამდებობის წყობა, ლიტურგიული ტექსტების სავალდებულო ხასიათი, საკრალური დღესასწაულები და ლოცვა-კურთხევანი.

ეს წიგნი შეიცავს ასევე სასულიერო ზრუნვასთან, ეკუმენიზმთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებულ მითითებებს.

სამხ. მოციქულებმა ერთხმად მიიღეს მთელი ეს პაკეტი და სამუშაო ჯგუფს, რომელიც მუშაობს წიგნზე „ძირითადი მიმართულებანი მღვდელმსახურთათვის“, პუბლიკაციის რედაქტირება და შემდგომი დასრულება დაავალეს.

ინტენსიური, მეთოდური კონსულტციები

სასულიერო თანამდებობაზე ქალთა ორდინაციის თემის დეტალური განხილვის შემდეგ სამხ. მოციქულებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პირველმოციქულის მიერ შემოთავაზებულ პროცედურას:

ეს თემა ინტენსიურ, მეთოდურ კონსულტაციებს მოითხოვს. სამხ. მოციქულთა თვალსაზრისით, არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საზოგადოებრივი ცვლილებები ეკლესიაზე ზეწოლას ახდენდეს. აქამდე არ არსებობდა ოფიციალური თეოლოგიური პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ბიბლიაში დასახელებული რაიმე მიზეზი, რომელიც ქალების ორდინაციას ეწინააღმდეგება. პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული დოკუმენტით, რომელიც ქალისა და კაცის თანასწორობას ეხება, საფუძველი შეიქმნა მომავალი დისკუსიებისათვის.

ამას მოსდევს ეკლესიის, მისი ტრადიციებისა და ღირებულებების გაანალიზება. „რაც შეეხება კონსულტაციებს, არ ვჩქარობთ, და, როგორც კი ყველა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, შინაარსიან კონცეფციას გამოვაქვეყნებთ, როგორც ეს 2019 წელს გავაკეთეთ, როცა სასულიერო თანამდებობის გაგებაში ცვლილებები შევიტანეთ.“ იმათი არგუმენტები, რომლებიც ამ საკითხთან მიმართებაში კონსერვატულად არიან განწყობილნი და ეშინიათ, რომ მათი საყვარელი ტრადიციები დაიკარგება, ისევე სერიოზულად უნდა იქნას მიღებული, როგორც იმათი სურვილი, რომლებსაც ცვლილებები და კონსულტაციების დაჩქარება სწყურიათ. „ჩვენ ჩვენი ტემპით მივდივართ და მთლიანობაში ახალსამოციქულო ეკლესიის სასარგებლო გადაწყვეტილებებს ვიღებთ და არა ერთი რომელიმე მხარის“, ასე შეაჯამა ეს დისკუსია პირველმოციქულმა შნაიდერმა.

ეკლესიის, საიდუმლოს და სასულიერო თანამდებობის გაგება

ცვლილებები ახალსამოციქულო ეკლესიაში ყოველთვის ხდებოდა და ისინი აუცილებელი იყო, განაცხადა პირველმოციქულმა. პირველმოციქულმა რიჰარდ ფერმა 1990-იან წლებში ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს შექმნისათვის მომზადება დაიწყო. მაშინ გადამწყვეტი იმის ჩვენება იყო, თუ როგორ უყურებდა კატეხიზმო იესო ქრისტეს ეკლესიას.

მანამდე ამბობდნენ, რომ ახალსამოციქულო ეკლესია ქრისტეს ეკლესია იყო, რაც მეთოდური კონსულტაციების შედეგად გადამუშავდა და შეიცვალა. მართალია, ამან ბევრ თემში გარკვეული მღელვარება გამოიწვია, მაგრამ კატეხიზმოს მიმართ სერიოზული მიდგომის თვალსაზრისით ეს აუცილებელი იყო. „ამას წლები დასჭირდა“, მოკლედ შეაჯამა პირველმოციქულმა.

ცვლილებების ჯაჭვი

პირველმოციქულმა ლებერმა ხელი შეუწყო კატეხიზმოს შედგენის საქმეს და მისი სასულიერო მოღვაწეობის პერიოდში საიდუმლოთა გაგების საკმაოდ დიდ თემას მიუძღვნა თავი. დაუვიწყარია მის მიერ 2006 წლის 24 იანვარს მოდელირებული ე. წ. „უსტერის საღამო“: მოხდა სხვა ეკლესიებში ჩატარებული ნათლობის აღიარება, ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის ურთიერთკავშირი ახლებურად იქნა განსაზღვრული.

პირველმოციქული შნაიდერი დიდ დროსა და ძალისხმევას ანდომებს სასულიერო თანამდებობის გაგების თემას და მასთან დაკავშირებულ ქალთა ორდინაციის საკითხს. ეკლესიის მეთაურმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „როცა ამ თემაზე ვმუშაობდით, მივხვდით, თუ რაოდენ ვრცელი და ღრმაა იგი. უბრალოდ „კის“ ან „არას“ თქმა საკმარისი არ არის. როგორც კონსულტაციებიდან ჩანს, თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ იგი დაჩქარებულად და მხოლოდ საზოგადოებრივი ტენდენციების გათვალისწინებით იქნას დამუშავებული.“

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი და სამხ. მოციქულები სამხ. მოციქულთა ყრილობაზე

ფოტო: პეტერ იოჰანსენი

პროგრამა

03. 07. 2022 წ. გომა (კონგოს დრ)
07. 07. 2022 წ. ლიმეტე-კინშასა (კონგოს დრ)
08. 07. 2022 წ. მბანდაკა (კონგოს დრ)
10. 07. 2022 წ. კინშასა (კონგოს დრ)
24. 07. 2022 წ. პაიდე (ესტონეთი)
27. 07. 2022 წ. ბონეირი (ანტილის კუნძულები)
30. 07. 2022 წ. პარამარიბო (სურინამი)
02. 08. 2022 წ. კინგსტონი (იამაიკა)
04. 08. 2022 წ. სან-სალვადორი (სან სალვადორი)
07. 08. 2022 წ. მეხიკო (მექსიკა)
14. 08. 2022 წ. დასადგენია (უკრაინა)
11. 09. 2022 წ. ფრაიბურგი (შვეიცარია)
18. 09. 2022 წ. იზერლონი (გერმანია)
22. 09. 2022 წ. დასადგენია (გამბია)
24. 09. 2022 წ. დასადგენია (სენეგალი)
25. 09. 2022 წ. დასადგენია (გვინეა-ბისაუ)

New Apostolic Church
International